



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 31

ქ. თბილისი

25/01/2017

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელებული მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის და სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებებისა და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე

საქართველოსა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს, მსოფლიო ბანკს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდს, აზიის განვითარების ბანკს და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის გაფორმებული სასესხო და დაფინანსების ხელშეკრულებების გათვალისწინებით და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) დაკვეთით განხორციელებული მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის და სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების მიზნით, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, განისაზღვროს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებები და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.

2. ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი განახორციელონ დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრულმა პირ(ებ)მა, მათ უშუალო საკურატორო სფეროს დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფების შესაბამისად, რაც უნდა დადასტურდეს მათი ხელმოწერით.

3. ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებაზე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით მიმდინარე პროექტების ფარგლებში, კონტროლი განახორციელონ დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრულმა თანამდებობის პირ(ებ)მა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ან/და მათი დაფინანსების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებაზე საკოორდინაციო უფლებამოსილების შესაბამისად, რაც უნდა დადასტურდეს მათი ხელმოწერით.

4. დეპარტამენტის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ამ ბრძანების საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურდიული პირის - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრისათვის გაცნობა.

5. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელებული მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის და სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებებისა და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის **2016 წლის 05 აპრილის №66** ბრძანება.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელებული მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის და სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცის, ნაპირდაცვის შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებები და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები

მუხლი 1.

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) დაკვეთით განხორციელებული მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცის და ნაპირდაცვის სამუშაოების (შემდგომში - სამუშაოები) ანაზღაურებისათვის აუცილებელია დეპარტამენტში წარმოდგენილ იქნეს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი და შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების ბარათი.

2. დეპარტამენტში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილი უნდა იყოს:

ა) დეპარტამენტის დაკვეთით სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის მიერ;

ბ) დეპარტამენტის დაკვეთით სამუშაოებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ხელმოწერილი პირები ადასტურებენ შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და მათი ღირებულებების სისწორეს.

4. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების ბარათი ხელმოწერილი უნდა იყოს:

ა) დეპარტამენტის დაკვეთით სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის მიერ;

ბ) დეპარტამენტის დაკვეთით სამუშაოებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ;

გ) დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის, რომელიც ახორციელებს სამუშაოებზე მონიტორინგს, უფროსის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოადგილის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის მიერ,

რომლიც ადასტურებს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას შესაბამისი ხელშეკრულების პირობებთან;

დ) დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამსახურის უფროსის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოადგილის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის მიერ, რომლიც ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის „ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად დადასტურებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ამოწმებს (ახორციელებენ ფინანსურ მონიტორინგს) შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების ბარათში მითითებული ხარისხის უზრუნველყოფის თანხის, დაკავებული ავანსის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი ღირებულების გადასახადის შესაბამისობას ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ხელმომწერი პირები ადასტურებენ შესრულებული სამუშაოების ღირებულებისა და ასანაზღაურებელი თანხის სისწორეს.

6. საქართველოსა და მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გარდა, დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამსახური ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტების შესაბამისად დადასტურებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ამოწმებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინდექსაციის თანხის შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან, რაც დასტურდება დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამსახურის უფროსის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოადგილის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის ხელმოწერით.

7. დეპარტამენტის თავმჯდომარის, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის-ტექნიკური მდივნის ან დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამისი მოადგილის (საკოორდინაციო პროექტ(ებ)ის შესაბამისად) გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დეპარტამენტის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ხელმოწერა.

8. ამ მუხლის მე-2-მე-7 პუნქტებით განსაზღვრული პროცედურების განხორციელების შემდგომ, შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების ბარათი წარედგინება დეპარტამენტის თავმჯდომარეს, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს-ტექნიკური მდივანს ან დეპარტამენტის თავმჯდომარის შესაბამის მოადგილეს (უშუალო საკურატორო სფეროს ან/და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ან/და მათი დაფინანსების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებაზე საკოორდინაციო უფლებამოსილების შესაბამისად) ხელმოსაწერად.

მუხლი 2.

ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრული პროცედურა გამოიყენება შუალედური გადახდის სერტიფიკატის და დასრულებული სამუშაოების სერტიფიკატის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 3.

ანგარიშსწორება დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელებულ სამუშაოებზე შესაძლებელია მხოლოდ პირველ მუხლში გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ.

მუხლი 4.

1. საქართველოსა და მსოფლიო ბანკს, აზიის განვითარების ბანკს ან ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის გაფორმებული სასესხო და დაფინანსების ხელშეკრულებების გათვალისწინებით და დეპარტამენტსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ - საჯარო სამართლის იურდიულ პირს - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ - საჯარო სამართლის იურდიული პირი - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი ახორციელებს პროექტის ფინანსურ მენეჯმენტს კომპეტენციის ფარგლებში.